

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელი და გლობალური ეკონომიკა პოსტკრიზისულ პერიოდში\*

## ნოდარ ხადური

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
nodar.khaduri@tsu.ge

### საკვანძო სიტყვები: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელი, მოდელის იმპლიმენტაცია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკვე 25 წელი დამოუკიდებელი ქვეყანაა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ნერგავს, დღემდე გადაუჭრელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის არჩევის საკითხი. ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველო ხშირად რადიკალურ მოდელს ირჩევს და მათი უნიკალური რეცეპტით შერწყმის ამბიციაც გააჩნია. სამწუხაროდ, ხშირად იდეოლოგიურად შეუთავსებელი მოდელის არსის ჩაუწვდომლად, მათი კოპირების და ქართულ გარემოში დანერგვის მცდელობაა, რაც მიღწეული წარმატებების შენარჩუნების პრობლემას აყენებს.

იმისათვის, რათა სწორი მოდელი ავირჩიოთ, მნიშვნელოვანია, თეორიულ დონეზე მიიჩვიოთ ყველა ის საფრთხე და პოტენციური წარმატება გავაანალიზოთ, რომელიც ამა თუ იმ მოდელის არჩევამ და მისმა იმპლიმენტაციამ შეიძლება გამოიწვიოს. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციის ფონზე ეროვნული ეკონომიკური მოდელის ფორმირება გარდა წმინდა შიდა პრობლემებისა, საგარეო ფაქტორის გათვალისწინებასაც მოითხოვს, რამეთუ გლობალური პროცესები თავისდაუნებურად იწვევენ ეროვნული მთავრობების ეკონომიკური ბერკეტების გარკვეულწილად შესუსტებას. ამასთან მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ მიადწიოს კონსენსუსს, თუ როგორ პოლიტიკურ ფილოსოფიას უნდა დაეყრდნოს ქართული სახელმწიფოს მოწყობა.

მესამე ათასწლეული მსოფლიოსათვის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისით დაიწყო, 2007 წელს დაწყებული კრიზისის დასრულებაზე საუბარი ზოგიერთი საკმაოდ ცნობილი მკვლევარის მიერ, მხოლოდ 2017 წელს გახდა შესაძლებელი და ისიც საკმაოდ დიდი დათქმებით.

შესაბამისად თეორეტიკოსებში, მეცნიერებში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში და, რაც მთავარია

მთავრობებსა და ცენტრალურ ბანკებში, რომლებიც მაკროეკონომიკური პოლიტიკის არა მხოლოდ თეორიულ საფუძველზე, არამედ მათ რეალურ განხორციელებაზეც არიან პასუხისმგებელნი, კრიზისზე რეაგირების ახალი მექანიზმების ძებნა დაიწყო. ასე მაგალითად, მსოფლიო ბანკის მისიად აღიარებულია ორი უმთავრესი მიზანი: უკიდურესი სიღატაკის აღმოფხვრა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასათვის (იხ. მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)). ხოლო მსოფლიო ბანკის სათაო ოფისში შესასვლელში ბანკის დევიზია გამოსახული „ჩვენი ოცნებაა სამყარო სიღარიბის გარეშე“<sup>1</sup>. ამავე დროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად მაკროეკონომიკური პოლიტიკის ხელახალ გააზრებაზე, უკვე სამი კონფერენცია ჩაატარა<sup>2</sup> და მასალები კრებულების სახით გამოსცა (Blanchard, 2016; 2013) (იხ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი [www.imf.org](http://www.imf.org)). აღნიშნულ საკითხზე მუშაობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD).

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური მეცნიერება ეკონომიკურ პროცესებზე რეაგირების პოზიციიდან ვერ გამოვიდა, პროგნოზები პროგნოზებად რჩება, ეკონომიკური მეცნიერება კი კვლავ ცდილობს დაეწიოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, სამწუხაროდ არცთუ ხშირად წარმატებულად, მით უფრო პროცესებზე მაკროეკონომიკური პრევენციის თუ არა, რეაგირების ინსტრუმენტების ეფექტიანობის ზრდის მიმართულად.

ეკონომიკის განვითარების კვლობაზე სულ უფრო ხშირია ეკონომიკური პროცესების მართვისა და რეგულირების არსებული მაკროეკონომიკური (და არა მხოლოდ) ინსტრუმენტების რევიზიის მცდელობა, განსაკუთრებით პოლიტიკური იდეოლოგიების ზეგავლენით.

\* კვლევის შედეგები წარმოდგენილ იქნა I ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე „ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“

<sup>1</sup> Our dream is world without poverty  
<sup>2</sup> აღნიშნული სამი კონფერენციიდან ორის მუშაობაში, 2013 და 2015 წლების აპრილში პირადად ვმონაწილეობდი როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შერჩევა დასმული მიზნების ადეკვატური უნდა იყოს, თუმცა იდეოლოგია მიზნების ფორმირების მიმართ გაცილებით უფრო აგრესიულია. ამავდროულად, თავად ეკონომიკური პროცესები და მათი შედეგები რადიკალურად იცვლება და დღის წესრიგში სრულიად ახალი ქმედებების აუცილებლობა წარმოიჩინდება.

თუ გადავხედავთ მაკროეკონომიკური მიზნების ევოლუციას, თუნდაც ბოლო 50 წლის განმავლობაში, ნათლად ჩანს, რომ ისინი თბიერად იცვლება, შესაბამისად ეს მიზნების მიღწევის ინსტრუმენტების მუდმივ სრულყოფას ითხოვს.

მიუხედავად ამისა, ზოგადად მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნებად აღიარებულია ეკონომიკური ზრდა (ბოლო პერიოდში უფრო აქტუალური ხდება ეკონომიკის მდგრადი განვითარება, რომელიც უფრო კომპლექსური მაჩვენებელია და რაოდენობრივთან ერთად, თვისობრივ პარამეტრებსაც უნდა მოიცავდეს, ამავდროულად მომავალი თაობებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რაც არა მხოლოდ გარემოზე ზემოქმედებას, არამედ ფინანსურ მდგრადობას და სოციალურ გარემოსაც მოიცავს). ეკონომიკის სტაბილურობა ასევე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მიზანია, რომელიც თავის თავში უმუშევრობისა და ინფლაციის დაბალ დონეს გულისხმობს და ძალიან აქტუალურია საგადასახდელი ბალანსის დაცვა. ცხადია, სახელმწიფო პოლიტიკა არ და ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მიზნებით, მაგრამ სწორი აქცენტების შემთხვევაში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური მიზანი – მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა.

თუმცა სახელმწიფო ამ მიზნების მიღწევაში შეზღუდულია, ხშირ შემთხვევაში აგრესიული პოლიტიკური და იდეოლოგიური წინების გამო. პარადოქსულია, მაგრამ აგრესიული ხდება არა მხოლოდ ტრადიციულად „აგრესიული“ იდეოლოგიები, რომელთათვისაც განსხვავებული აზრი პრინციპულად მიუღებელია, არამედ ერთი შეხედვით მეტად „დემოკრატიული“ იდეოლოგიური შეხედულებანი, რომლებიც წესით მეტად შემწყნარებელი უნდა იყოს განსხვავებული აზრისადმი და ეძებდეს კონსენსუსის წერტილს. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითია ლიბერალიზმის მომხრეთა აგრესიული ტონი, თუნდაც საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ზოგიერთ ეტაპზე.

იდეოლოგიურმა ფონმა გავლენა მოახდინა ინსტრუმენტების შერჩევაზე, ინსტრუმენტების მოქმედების ამპლიტუდაზე და ზოგადად მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე.

რეალურად სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების ორად-ორი წმინდად ეკონომიკური ინსტრუმენტი, ბერკეტი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა გააჩნია. 2007 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ აქტუალური გახდა მაკროპრუდენციული პოლიტიკა, რომლის

ამოცანა ფინანსური სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობის უზრუნველყოფაა.

სწორედ ამ ინსტრუმენტების ნაზავითაა შესაძლებელი პროცესებისადმი სასურველი მიმართულების მიცემა. პოსტკეინზიანურ სამყაროში კამათი ეკონომისტებს შორის სწორედ ამ ნაზავის შემადგენლობაზეა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისათვის ბევრმა სახელმწიფომ პრაქტიკულად უარი თქვა მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაზე, მათ შორის ევროკავშირის სახელმწიფოებმა, რომლებიც ევროზონის წევრები არიან და არ აქვთ საკუთარი ვალუტა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მონეტარულმა ხელისუფლებებმა, პრაქტიკულად ყველგან წინა პლანზე დააყენეს მხოლოდ ერთი მიზანი, ფასების სტაბილურობა, რითაც ასევე უარი თქვეს ისეთ სენსიტიურ თემებზე, როგორცაა გაცვლითი კურსი, უმუშევრობა და სხვა. შესაბამისად მონეტარული პოლიტიკის ერთადერთი მიზნის არსებობა მნიშვნელოვნად ასუსტებს მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენების არეალს და ეფექტიანობას.

ასევე ბევრმა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, პრაქტიკულად უარი თქვა დისკრეტული ფისკალური პოლიტიკის განხორციელებაზე, რაც გამოიხატება საკანონმდებლო დონეზე დეფიციტის, სახელმწიფო ხარჯების და სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობების დადგენაში. საქართველო კიდევ უფრო შორს წავიდა და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ზრდაზე (გარდა აქციზისა) ან ახლის შემოღებაზე პრაქტიკულად მორატორიუმი გამოაცხადა. ამისათვის საერთო სახალხო რეფერენდუმის ჩატარებაა საჭირო (მომავალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაზე). შესაბამისად, ეკონომიკური რეცესიის დროს ხელისუფალთა ჩარევის მასშტაბები შეზღუდულია, რაც თუ ინსტრუმენტების ზემოქმედების დროით ლაგსაც დავეუბნებთ, სერიოზულად გაართულებს და გაახანგრძლივებს პოსტკრიზისულ პერიოდებს.

ეკონომიკური მეცნიერების ამოცანა ამ ფონზე კიდევ უფრო რთულდება, რათა ხელოვნური შეზღუდვებით დამძიმებულ ბუნებრივ გარემოში ეკონომიკური პროგნოზირების და რეაგირების ისეთი მექანიზმები შეიქმნება, რომლებსაც შედარებით მოკლე დროითი ლაგი და მეტი ეფექტიანობა ექნება.

პირველის შესაბამისად სახელმწიფო ბუნებრივი ორგანიზმია, თითოეული ინდივიდი ამ ორგანიზმის ნაწილი, ხოლო თავად სახელმწიფო კი ორგანიზმის გულია. ამ იდეოლოგიის შესაბამისად ინდივიდი მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოების ნაწილი და მისი კეთილდღეობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ჭრილში უნდა განვიხილოთ, ხოლო მექანიკური თეორიის შესაბამისად სახელმწიფო არ არის საზოგადოების ორგანული ნაწილი და იგი ადამიანებმა საკუთარი მიზნების მიღწევის მიზნით გამოიგონეს.

თუმცა მექანიკური თეორიის შესაბამისადაც კი, სახელმწიფოს მიზნებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი

ხალხისათვის კეთილდღეობის მოტანაა. სწორედ „კეთილდღეობის“ შინაარსის გაგებაა ის საკითხი, რომელსაც ეკონომიკაზე მსჯელობა იდეოლოგიურ და ხშირად პოლიტიკურ ჭრილში გადაჰყავს. როცა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ეკონომიკურ მოდელზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში სწორედ იმაზე უნდა ვისაუბროთ, რას ვიგულისხმებთ „კეთილდღეობაში“. ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი არსი სწორედ კეთილდღეობის მაქსიმიზაციაა, მაგრამ თავად კეთილდღეობა იმდენად ფართო ცნებაა, რომ კონსენსუსის მიღწევა პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

ის რომ სახელმწიფო არსებობს — მოცემულობაა. ისიც საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ბაზარი რესურსების განაწილების ყველაზე ეფექტიანი ფორმაა. თუმცა, სახელმწიფოს მხოლოდ არსებობაც კი, ბაზარს ნებისმიერ შემთხვევაში უკარგავს თავისუფლების ხარისხს, ანუ ბაზარი მხოლოდ თეორიულადაა თავისუფალი და სახელმწიფო პირდაპირი ან ირიბი მექანიზმებით ზღუდავს თავისუფლებას, ზოგიერთ შემთხვევაში ცდილობს, ბაზრის ჩავარდნის, ე.წ. „ბაზრის ფიასკოს“ ნიველირებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად აფერხებს მის განვითარებას.

თავისუფალი ბაზრის და „უხილავი ხელის“ იდეოლოგია ადამ სმიტს ეკუთვნის. იგი დარწმუნებული იყო, რომ თუ არსებობს თავისუფალი ბაზრები და ინდივიდები საკუთარი ინტერესის შესაბამისად მოქმედებენ, მთლიანი ეკონომიკა კარგად მუშაობს. სმიტი ამტკიცებდა, რომ ინდივიდის მიერ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკუთარი ინტერესების სასარგებლო ქმედება უხილავი ხელის პრინციპით საზოგადოების საერთო კეთილდღეობის მაქსიმიზაციას იწვევს (Блауг, 1994). თუმცა თავად სმიტი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ „საზოგადოება დანაშაულისა და სხვა დამოუკიდებელი საზოგადოების აგრესიისაგან“, ხოლო „საზოგადოების თითოეული წევრი სხვათა ჩავარისა და უსამართლობისაგან“ უნდა დაიცვას (როუზენი, 2006:8). პრობლემა ზუსტად ისაა, საზოგადოების შემოსავლის რა ნაწილი უნდა მიიმართოს სახელმწიფოს მიერ ამ ფუნქციების შესრულებისაკენ და რა ჩაითვლება „სხვათა ჩავარისა და უსამართლობაში“. და სახელმწიფო ინტერვენციის რა მოცულობა უნდა ჩაითვალოს ამ „სიკეთის“ (რომელიც კეთილდღეობის ერთი შემადგენელი ნაწილია) ოპტიმალურ მოცულობად და მის სანაცვლოდ რა უნდა გაიღოს საზოგადოებამ.

ის რომ სახელმწიფო აბსოლუტური აუცილებლობაა, ამას აღიარებენ არა მხოლოდ ე.წ. სახელმწიფოს შესახებ ორგანული თეორიის მომხრეები, არამედ თავისუფალი ბაზრის ისეთი იდეოლოგები, როგორცაა თუნდაც ლუდვიგ ფონ მიზესი. იგი წერდა „სახელმწიფო — აბსოლუტური აუცილებლობაა, რადგან მან უნდა გადაწყვიტოს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, დაიცვას არა მარტო კერძო საკუთრება, არამედ მშვიდობაც, რამეთუ მშვიდობის გარეშე შეუძლებელია კერძო საკუთრების მწიფე ნაყოფის შეგროვება“

(Mises, 1985: 33; 39; 42). მიზესის აზრით ადამიანი არა მხოლოდ Homo sapiens-ი, არამედ Homo agens-იცაა და მისი აზრით ადამიანებს, რომლებსაც რაიმე თანდაყოლილი დეფექტის გამო ქმედებები შეზღუდული აქვთ, რთულია ადამიანი უწოდო(!) მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული და ბიოლოგიური თვალსაზრისით ისინი ადამიანები არიან, მათ არ გააჩნიათ ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი (Мизес, 1999:40). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უნდა ვიგულისხმობთ, რომ მიზესის აზრით ასეთი ადამიანი, ასევე გარკვეულ სიკეთეს უნდა იღებდეს საზოგადოებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ფიზიკურად დაიღუპება.

ერთია თეორიული მოდელი, რომელიც შესაძლოა წმინდა მექანიკურ თეორიას და ადამიანის, როგორც ინდივიდის ცხოვრებას და მოღვაწეობას ეყრდნობა და მეორეა მისი პრაქტიკაში განხორციელება.

მე-20 საუკუნეში ეკონომიკური მოდელის ფორმირების უდიდესი გამოცდილება ჩამოყალიბდა, დაწყებული საბაზრო ეკონომიკის წარმატებული სკანდინავიური მოდელით, იაპონიის და გერმანიის მეორე მსოფლიო ომისშემდგომ აღდგენილი ეკონომიკებით, რომლებმაც სრულიად დამსახურებულად ეკონომიკური სასწაულის სტატუსი დაიმსახურეს და სინგაპურის არანაკლებწარმატებული, თუმცა სრულიად განსხვავებული მოდელით დამთავრებული. ცხადია, თითოეული მათგანის შესწავლა და განხილვა რთულია, თუმცა საქართველოსათვის უდაოდ მნიშვნელოვანია იმ წინაპირობების შესწავლა, რომლებმაც ეს „ეკონომიკური სასწაულები“ განაპირობეს.

ამ წარმატებული მოდელიდან ორი განსაკუთრებით წარმატებულია, ერთს საფუძვლად ლუდვიგ ერჰარდის „კეთილდღეობის სახელმწიფო“ (გერმანიის ეკონომიკის რეფორმირებაზე იხილეთ: Эрхард, 1991), ხოლო მეორეს ლი კუან იუს „სამართლიანი სახელმწიფო“ (სინგაპურის ეკონომიკის რეფორმირებისა და აღმავლობის შესახებ იხილეთ: LeeKuanYew, 2000) დაედო.

მიუხედავად საქართველოში ჩამოყალიბებული სტერეოტიპებისა, განსაკუთრებით სინგაპურთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სახელმწიფოში დიდი იყო და არის სახელმწიფოს როლი ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში, წახალისებაში და ა.შ. მათ შორის, შრომის ბაზრის დაცვის, ბაზრის გარკვეულ სეგმენტებში პროტექციონისტული ნორმების მოქმედება, სახელმწიფო ინვესტიციები, რომლებიც არა მხოლოდ ინფრასტრუქტურაში ხორციელდებოდა და ა.შ.

ორივე რეფორმა წარმატებული აღმოჩნდა, ორივე ქვეყანა დღეს მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ქვეყანათა რიცხვში შედის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, მშპ ერთ სულზე (მსყიდველობითუნარიანობის პერიტეტი)

სინგაპურში 90 531 აშშ დოლარია, გერმანიაში 50 206 დოლარი, ხოლო საქართველოში — 10 644<sup>3</sup>. შესაბამისად, სინგაპური მსოფლიოს უმდიდრეს სახელმწიფოთა შორის მე-4, გერმანია მე-17, ხოლო საქართველო კი 105-ეა.

ამავე დროს თუ ვნახავთ ჯინის ინდექსის დინამიკას, რომელიც შემოსავლების უთანაბრობას ასახავს, თუ გავთვლით მონაცემებით შემოსავლები ყველაზე თანაბრად განაწილებულია დანიაში (ინდექსი შეადგენს 24,7), გერმანიაში 28,3, საქართველოში ინდექსი შეადგენს 40,4-ს, ხოლო სინგაპურში 42,5 (www.un.org). შესაბამისად, სინგაპური ამ მიმართულებით საქართველოსაც კი ჩამორჩება, ანუ საზოგადოების პოლარიზაცია შემოსავლების განაწილების თვალსაზრისით ძალიან მაღალია.

ვფიქრობ ასევე ევროპული, და კერძოდ, გერმანული ეკონომიკური მოდელის უპირატესობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ომის შემდგომ განადგურებული გერმანული ეკონომიკა, არათუ აღდგა, არამედ დღეს ევროპის ყველაზე განვითარებული ეკონომიკაა, და რაც მნიშვნელოვანია, სწორედ ეკონომიკური განვითარების წყალობით მოახერხა გერმანიამ დაახლოებით 30 წლის წინ გაერთიანება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ 4 საოკუპაციო ზონად დაიყო, რომელთაგან სამში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებამ აშკარა „გერმანული ეკონომიკური სასწაული“ მოახდინა. ამ ეკონომიკური სასწაულის შედეგები სახეზეა: 1948 წლიდან 2010 წლამდე საშუალო საათობრივი ხელფასი გერმანიაში 65 ევროცენტიდან 15,55 ევრომდე გაიზარდა, სოცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა 13 წლით, სამუშაო ადგილზე უბედურ შემთხვევათა რაოდენობა შემცირდა 60%-ით, კვირაში სამუშაო საათების რაოდენობა შემცირდა 48,2 საათიდან 38,3 საათამდე, შვებულებების ხანგრძლივობა 12 დღიდან 30 დღემდე გაიზარდა, 250 გრამი კარაქის შესაძენად საჭირო იყო 73 წუთი შრომა, დღეს საკმარისია 5 წუთი, 1 ავტომანქანის შესაძენად კი 1472 საათის მუშაობაა საკმარისი, ნაცვლად 5136 საათისა<sup>4</sup>.

როგორც ჩანს, საქართველოსთვის საინტერესო უნდა იყოს გერმანული გამოცდილების გაზიარება.

დღეს ჩვენი მიზანია, იმ თეორიული ოქროს შუალედის პოვნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მისი იმპლემენტაციის შემთხვევაში, ქართული ეკონომიკური მოდელი მაქსიმალურად ეფექტიანი და სამართლიანი იყოს. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემო, რომელშიც საქართველოს უწევს ფუნქციონირება. დროებით დაკარგული ტერიტორიები, ეკონომიკური ემბარგო რუსეთის მხრიდან,

მძიმე სოციალური ფონი — ის განმასხვავებელი ფაქტორია, რითაც საქართველო უფრო მეტად ჰგავს გერმანიას. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სინგაპურის ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის 1%-ზე ნაკლებია. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის განვითარებას სინგაპურში ნაკლები სახსრები სჭირდება, ვიდრე საქართველოში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სინგაპური ქალაქია, და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ძალიან დაბალია, საქართველოში კი შრომითი რესურსების 63% სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული (www.geostat.ge).

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოში წარმოებული პროდუქციის თავისუფალი შეღწევა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის, ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი და წინაპირობაა.

დღეისათვის საქართველო ინვესტიციურ შიმშილს განიცდის, მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია, მაღალია უმუშევრობა და სიღარიბე. საკუთარი შესაძლებლობებით ამ მდგომარეობიდან გამოსვლა რთულია. მოხმარება იმდენად დაბალია ქვეყანაში, რომ მხოლოდ შიდა ბაზარზე ორიენტირებული წარმოების მიზნით ინვესტიციები აშკარად არამომგებიანია. ამდენად, ინვესტიციების მოზიდვის რეალური ფაქტორი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება და მსოფლიო ბაზრებზე საკუთარი ნიშის მოძებნაა.

თუ მსოფლიო ეკონომიკას გადავხედავთ, თვალნათელია, რომ ევროპულ ბაზრებს-ევროკავშირს ალტერნატივა არ გააჩნია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთი სურათი იხატება: ევროკავშირის მოსახლეობა 512 მლნ. ადამიანია, 2018 წლის მშპ 22 ტრლნ. დოლარი, რაც ერთ სულზე 38 370 დოლარს შეადგენს. ჯინის ინდექსი კი 30,8.

მხოლოდ ამ ზოგადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გადახედვითაც ცხადია, რომ საქართველოსათვის ეკონომიკური თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული ამოქმედება, რომელიც საქართველოს ევროკავშირის ბაზრებზე გასვლის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს მოუხსნის. აღნიშნული მოსაზრება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ევროპული არჩევანის სისწორეს და, შესაბამისად, ეკონომიკის ევროპულ მოდელთან დაახლოებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართული ეკონომიკური მოდელის ფორმირების პროცესში აქტიურად გამოვიყენოთ ის გამოცდილება, რომელიც გლობალიზაციის პროცესში დაგროვდა და გავითვალისწინოთ ის შეზღუდვები, რომელსაც გლობალური პროცესები გვიწესებს.

<sup>3</sup> Data refer to the year 2010. World Economic Outlook Database-September 2011, International Monetary Fund. Accessed on September 26, 2011.

<sup>4</sup> წყარო: IW Köln, Federal Statistics Office, Institute for Employment Research.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020. [www.mof.ge](http://www.mof.ge).
2. როზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, ტ.-1, თბილისი, 2006.
3. Blanchard Olivier (ed), Rajan Raghuram, Rogoff Kenneth, and Lawrence H Summers, Progress and Confusion (2016). The State of Macroeconomic Policy. The IMF, The MIT Press, Cambridge, Massachusetts, London, England.
4. Blanchard Olivier (ed.), Romer David, Spence Michael, and Stiglitz Jozeph. In the Wake of the Crisis. Leading Economists Reassess Economic Policy. The IMF, The MIT Press, Cambridge, Massachusetts, London, England 2013;
5. Furman, Jason., The Right Question About Inequality and Growth, 2018;
6. Furman, Jason., Should Policymakers Care Whether Inequality is Helpful or Harmful For Growth?. IMF, Harvard Kennedy School & Peterson Institute for International Economics, 2018;
7. Greenspan, Alan., The Map and The Territory. Risk, Human Nature, and the Future of Forecasting, The Penguin Press, New York, 2014;
8. Kaletsky, Anatole., A “Macroeconomic” Revolution?. July 2017. <https://www.project-syndicate.org>.
9. Kaushik Basu., Inequality in the Twenty-First Century. December 2017. <https://www.project-syndicate.org>.
10. Lagarde, Christine, Building a More Resilient and Inclusive Global Economy (A speech), April 12, 2017. [www.imf.org](http://www.imf.org);
11. Laidi, Zaki., Populism’s Second Wind. Feb. 2018. <https://www.project-syndicate.org>.
12. Lee Kuan Yew, The Singapore Story: 1965-2000. From third world to first. HarperCollins Publishers, N.Y., USA, 2000;
13. Mises L., Liberalism in the Classical Tradition, p. 33, 39, 42.
14. IW Koln, Federal Statistics Office, Institute for Employment Research.
15. Rogoff, Kenneth., Economists vs. Scientist on Long-Term Growth, march 2018. <https://www.project-syndicate.org>.
16. Stiglitz, Jozeph E., The Great Divide: Unequal Societies and What We can Do About Them, WW. Norton & Company, 2015;
17. Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе. – М., «Дело Лтд», 1994.
18. фон Мизес Л., Индивид, рынок и правовое государство. – СПб., «Пневма», 1999, с.40;
19. Эрхард Л., Благополучие для всех.,-М.: Начала-пресс, 1991.
20. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge);
21. [www.mof.ge](http://www.mof.ge);
22. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org);
23. [www.imf.org](http://www.imf.org);
24. [www.doingbusiness.org](http://www.doingbusiness.org);
25. [www.weforum.org](http://www.weforum.org);
26. [www.medium.com](http://www.medium.com);
27. [www.project-syndicate.org](http://www.project-syndicate.org);

## THE MODEL OF GEORGIAN ECONOMIC DEVELOPMENT AND POST-CRISIS GLOBAL ECONOMY

### NODAR KHADURI

Doctor of Economics, Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

nodar.khaduri@tsu.ge

**KEYWORDS:** GEORGIA'S ECONOMIC DEVELOPMENT MODEL, MODEL IMPLEMENTATION

### SUMMARY

Despite the fact that Georgia has already been an independent country for 25 years and inculcates the principles of market economy, the issue of choosing the model of country's economic development has not been resolved up to the present time. Georgia frequently chooses radical models not only at the theoretical level, but also at the political one and has ambitions of merging them by unique prescription. Unfortunately, frequently there are attempts to borrow ideologically inappropriate models without comprehending their essence that causes problems for maintaining achieved successes.

In order to choose a correct model, it is imperative to analyse at least at the theoretical level all those threats and possible successes that can be caused by choosing this or that model and its implementation. It is important that the society achieve consensus on what political philosophy the Georgian state system should be based on, the organic or mechanical theories of state.

According to the first one the state is a natural organism, each individual is a part of this organism, and the state itself is a heart of this organism. According to this ideology; the

individual is important as a part of society and his/her well-being should be considered in the context of the well-being of society.

As regards the mechanical theory, it is based on the notion that the state is not an organic part of society and humans devised it to achieve their own goals.

The economic essence of the noted theories is clearly reflected in Adam Smith and John Maynard Keynes's theoretical legacy. Smith was convinced that, if there are free markets and individuals act by their own interests, the whole economy works well. Smith claimed, that in the conditions of market economy the useful action of individuals' own interests by the principle of "invisible hand" brings about maximization of the general well-being of society. According to Keynes, Smith's "invisible hand" showed an utter irrelevance to the real developments that became a reason for formulating a new macro-economic theory.

Today our aim is to find that theoretical golden mean, which in case of its implementation, will enable Georgian economic model to be maximally effective and fair.